Student Journal of Social Sciences

სტუდენტთა ჟურნალი

სოციალურ მეცნიერებებში

#31, თებერვალი, 2026

მოდერნული ნაციონალური იდენტობის პროექტი საქართველოში: თერგდალეულები და ეროვნული იდენტობის ფორმირება

ელენე გასიტაშვილი

პოლიტიკის მეცნიერების საბაკლავრო პროგრამა

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

elenegasitashvili5@gmail.com

აბსტრაქტი

კვლევა შეისწავლის მოდერნული ნაციონალური იდენტობის ფორმირების პროცესს საქართველოში XIX საუკუნეში თერგდალეულთა მოძრაობის მაგალითზე. თემის აქტუალობა განპირობებულია როგორც ისტორიული გამოცდილების გააზრების აუცილებლობით, ისე თანამედროვე საქართველოს წინაშე მდგარი გამოწვევებით, რომლებიც უკავშირდება ეროვნული იდენტობის შენარჩუნებას, გეოპოლიტიკურ ზეწოლასა და კულტურულ თვითმყოფადობას. კვლევა ეფუძნება ერნესტ გელნერისა და ბენედიქტ ანდერსონის ნაციონალიზმის თეორიებს, რაც შესაძლებელს ხდის თერგდალეულების საქმიანობის გაანალიზებას არა მხოლოდ ლოკალურ, არამედ საერთაშორისო თეორიულ კონტექსტში.

კვლევაში გამოყენებულია თვისებრივი მეთოდოლოგია, რომელიც აერთიანებს მეორეული წყაროების, ისტორიულ-კონტექსტუალურ და თემატურ ანალიზს. კვლევაში შესწავლილ გაანალიზებულია თერგდალეულთა პუბლიცისტური და ლიტერატურული ტექსტები, ასევე წყაროები, რომელებიც მოიცავს XIX საუკუნის საქართველოს ისტორიულ და პოლიტიკურ კვლევებს. კვლევის მთავარი საკვლევი კითხვებია: რატომ დაიწყო ქართული ნაციონალური იდენტობის მოდერნული ფორმირება სწორედ XIX საუკუნის მეორე ნახევარში?; რა როლი შეასრულა განათლებამ, პრესამ და ენობრივმა რეფორმამ ამ პროცესში?; და რამდენად შეესაბამება თერგდალეულთა მოძრაობა გელნერისა და ანდერსონის ნაციონალიზმის თეორიულ მოდელებს. კვლევა ასკვნის, რომ თერგდალეულთა მოძრაობა წარმოადგენს ქართული მოდერნული ნაციონალიზმის სისტემურ და გააზრებულ პროექტს.

საკვანძო სიტყვები: თერგდალეულები, ეროვნულობა, ეროვნული იდენტობის ფორმირება, განათლება, რეფორმა.

შესავალი

მე-19 საუკუნის ევროპა ნაციონალიზმის აფეთქების ეპოქად იქცა. იმპერიებში მცხოვრებმა ხალხმა თავიანთი თავის აღქმა დაიწყეს, როგორც უნიკალურ კულტურულ ერთეულებად, რომლებსაც ჰქონდათ თავიანთი ენა, ისტორია და საერთო მომავლის სურვილი. ეს პროცესი არ იყო სტიქიური, იგი საჭიროებდა საერთო იდეების მობილიზებას, სადაც დაიწყებოდა ნაციონალური იდენტობის კოდის შექმნა. საფრანგეთში დაწყებულმა პროცესმა განაპირობა შემდგომი მსოფლიო სისტემა, ეს პროცესი ჯაჭვური რეაქციით მიმდინარეობდა სხვადასხვა სახელმწიფოში. თანამედროვე საქართველოში ეროვნული იდენტობის გამოღვიძებაც შეიძლება დავუკავშიროთ ამ პროცესს, რაშიც ეროვნული იდენტობის შემოქმედების როლი თერგდალეულებმა იტვირთეს. თერგდალეულები გახდნენ ახალგაზრდული ინტელიგენციის სახეები, რომლებმაც განათლება თერგს იქით, უცხოეთში მიიღეს და შემდგომ განსხვავებული თვალით დაინახეს საკუთარი ქვეყანა, ამის საფუძველზე კი დაიწყეს ერის, როგორც სულიერი ერთობის, ხელახლა შექმნა.

კვლევის **მიზანია** გაანალიზდეს, თუ როგორ ჩამოაყალიბეს თერგდალეულებმა XIX საუკუნის ქართულმა ინტელიგენციამ მოდერნული ქართული ეროვნული იდენტობის საფუძვლები, ერნესტ გელნერისა და ბენედიქტ ანდერსონის ნაციონალიზმის თეორიების ჭრილში. კვლევა ცდილობს არა მხოლოდ ისტორიული ფაქტების აღწერას, არამედ თერგდალეულების საქმიანობის სტრუქტურული ლოგიკის გახსნას: იმის ახსნას, თუ რატომ და როგორ ჩამოყალიბდა ეროვნული მოძრაობა სწორედ ამ სახით და რა ბერკეტებს ეყრდნობოდა იგი.

აქედან გამომდინარე, კვლევის ძირითადი **ამოცანებია:**

XIX საუკუნის ისტორიული კონტექსტის დახასიათება: რუსიფიკაციის პოლიტიკის, ავტოკეფალიის გაუქმებისა და ქართული ინტელიგენციის დარბევის ფონზე ნაციონალიზმის ჩამოყალიბების წინაპირობების განსაზღვრა.

ქართული კონტექსტის მიხედვით გელნერის თეორიის შეზღუდვებისა და ანდერსონის კონცეფციის ჩარჩოებში ახსნის შეუძლებელი ასპექტების გამოვლენა.

კვლევის **ობიექტია** თერგდალეულთა თაობა XIX საუკუნის მეორე ნახევრის ქართული ინტელიგენცია, კერძოდ ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, ნიკო ნიკოლაძე და სერგეი მესხი. კვლევა იხილავს მათ ლიტერატურულ, პუბლიცისტურ, საგანმანათლებლო და ეკონომიკურ საქმიანობას როგორც ნაციონალური იდენტობის კონსტრუირების ინსტრუმენტებს. კვლევის ქრონოლოგიური ჩარჩო ძირითადად მოიცავს 1860–1890-იანი წლების პერიოდს.

აქედან გამომდინარე, მთავარი **საკვლევი კითხვა** ჩამოყალიბდა შემდეგნაირად: რა როლი ითამაშა თერგდალეულების მოძრაობამ XIX საუკუნის საქართველოში მოდერნული ეროვნული იდენტობის ჩამოყალიბებაში და რამდენად შეესაბამება ეს პროცესი ნაციონალიზმის მოდერნისტული თეორიების (გელნერი, ანდერსონი) თეორიულ ჩარჩოს?

საკვლევი კითხვიდან გამომდინარე, კვლევა ეფუძნება შემდეგ **დაშვებას:** თერგდალეულების ინტელექტუალური და პრაქტიკული საქმიანობა XIX საუკუნის საქართველოში წარმოადგენდა სისტემატურ, მიზანმიმართულ პროექტს, რომელიც ემთხვეოდა ნაციონალიზმის ფორმირების მოდერნისტულ ნიმუშებს. კერძოდ, ვვარაუდობ, რომ: (ა) განათლებული ელიტა უნდა გამხდარიყო ნაციონალური პროექტის მთავარი მამოძრავებელი ძალა, როგორც ამას გელნერის თეორია ვარაუდობდა; (ბ) ბეჭდური მედიისა და ენობრივი სტანდარტიზაციის გამოყენება შექმნიდა წარმოსახვით ეროვნულ ერთობას, როგორც ანდერსონის კონცეფცია პროგნოზირებდა.

კვლევა ეყრდნობა ნაციონალიზმის ორ ძირითად მოდერნისტულ **თეორიას:**

ერნესტ გელნერის სტრუქტურულ-ფუნქციონალისტური მიდგომა (Nations and Nationalism, 1983) განიხილავს ნაციონალიზმს როგორც ინდუსტრიული მოდერნობის გარდაუვალ შედეგს და ბენედიქტ ანდერსონის კულტურულ-სიმბოლური მიდგომა (Imagined Communities, 1983) ამახვილებს ყურადღებას ენის, ბეჭდური მედიისა და კოლექტიური ისტორიული მეხსიერების როლზე.

თეორიული ინტერპეტაციით კვლევაში განვიხილავ საქართველოს შემთხვევას ნაციონალიზმის მოდერნისტური თეორიული ჩარჩოს ფარგლებში. ამ მიდგომისას ისტორიული ფაქტები განიხილება გელნერისა და ანდერსონის თეორიული ჩარჩოების მიხედვით. ეს მიდგომა საშუალებას იძლევა, თერგდალეულების საქმიანობა გავიაზროთ არა მხოლოდ როგორც ისტორიული მოვლენები, არამედ როგორც ნაციონალიზმის ფორმირების უნივერსალური პროცესების კონკრეტული გამოვლინება საქართველოში. კვლევაში გამოყენებულია თემატური ანალიზი, რომლის საშუალებითაც გამოვლენილია თერგდალეულების საქმიანობის ოთხი ძირითადი მიმართულება: ენობრივი რეფორმა, პრესის განვითარება, განათლების სისტემის შექმნა და ეკონომიკური მოდერნიზაცია.

კვლევის შესწავლისას გაანალიზებულია, როგორც თერგდალეულთა პუბლიცისტიკა და ლიტერატურა, ასევე კვლევები, რომლებიც ამ საუკუნის პოლიტიკურ პროცესებს შეისწავლიან. პირველად წყაროებს მიეკუთვნება თერგდალეულთა ლიტერატურული და პუბლიცისტური ნაწარმოებები: ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, ნიკო ნიკოლაძისა და სერგეი მესხის ტექსტები, რომლებიც წარმოადგენენ ძირითად მასალას მათი იდეოლოგიური პოზიციების შესასწავლად.

მეორად წყაროებში შედის ისტორიული ნაშრომები XIX საუკუნის საქართველოს შესახებ, განსაკუთრებით, მ. სურგულაძის, ა. ბადრიძის და სხვა მკვლევრების შრომები, რომლებიც აწვდიან ინფორმაციას იმდროინდელ სოციალურ, პოლიტიკურ და კულტურულ კონტექსტზე.

კვლევაში მნიშვნელოვანია კონტექსტუალური მიდგომა, რომელიც ითვალისწინებს XIX საუკუნის საქართველოს სპეციფიკურ ისტორიულ ვითარებას რუსეთის იმპერიის ანექსიას, რუსიფიკაციის პოლიტიკას და ქართული ინტელიგენციის როლს ეროვნული იდენტობის დაცვაში. კვლევის ძირითადი მიზანია არა მხოლოდ თერგდალეულების საქმიანობის აღწერა, არამედ იმის ახსნა, თუ როგორ ქმნიდა ეს მოძრაობა თანამედროვე ქართული ნაციონალური იდენტობის საფუძვლებს.

I. ისტორიული კონტექსტი: საქართველო იმპერიულ და საბჭოთა სისტემებში

თავდაპირველად მნიშვნელოვანია ის, თუ რატომ დაიწყო ქართველი ერის თანამედროვე სახით ფორმირების პროცესი მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში და რატომ არ იყო მანამდე? ან რა უბიძგებდა ხალხს ერთიანი კულტურის სივრცის შექმნისკენ? ამ კითხვებზე ზოგად ჭრილში პასუხს გვთავაზობს ერნესტ გელნერი, ნაშრომში ,,ნაცია და ნაციონალიზმი'', რომლისთვისაც ნაციონალიზმი არის არა წინარე ისტორიის ბუნებრივი გაგრძელება, არამედ მოდერნულობის პროდუქტი: განათლების, ეკონომიკური მობილობისა და ცენტრალური კულტურის მოთხოვნაზე აგებული რეაქციაა. თერგდალეულები სწორედ გელნერის თეორიულ ჭრილში უნდა გავაანალიზოთ, როგორც ნაციონალიზმის თეორიის კლასიკური გამოვლინება ჩვენს რეალობაში, ნაციონალიზმის საკითხი განსაკუთრებით აქტუალურია, რადგან ქვეყანა მუდმივ ზეწოლას განიცდიდა საუკუნეების განმავლობაში დამპყრობლებისგან და მათი მთავარი მიზანი დაპყრობის გარდა საერთო კულტურის მოშლა იყო, რათა ნაციონალიზმის გაქრობით გამქრალიყო ერის იდენტობა და კულტურა, რის შემდეგაც შედარებით მარტივად სამართავები გახდებოდნენ.

ამის თვალსაჩინო მაგალითია მე-19 საუკუნის რუსიფიკაციის პოლიტიკა, განსაკუთრებით რუსეთის იმპერიის მხრიდან 1801 წელს ქართლ-კახეთის სამეფოს ანექსიით რუსეთმა დაიწყო საქართველოს პოლიტიკურად და კულტურულად დაქვემდებარება. ამ პროცესში ერთ-ერთი ძირითადი მექანიზმი იყო ეროვნული იდენტობის შერყევა და კულტურული ასიმილაცია. 1811 წელს გაუქმდა საქართველოს ავტოკეფალია, ქართული სამოციქულო ეკლესია შეუერთეს რუსეთის მართლმადიდებელ ეკლესიას. ეს იყო ღრმა იდენტობის რღვევის მცდელობა, რადგან ეკლესია იყო ერთ-ერთი მთავარი სტრუქტურა, რომელიც ქართულ ენას, წიგნიერებასა და ტრადიციებს იცავდა. ასევე დაიწყეს ქართული ინტელიგენციის მოშლა, ამისთვის რუსეთმა დაიწყო ელიტარული საზოგადოების რუსეთის სამსახურში გადაყვანა და მათი ამ მეთოდით ასიმილირება. ამის შემდეგ

1921 წლის ანექსიისა და დამოუკიდებლობის დაკარგვის შედეგად და საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკაში გაწევრიანებამ ასევე დიდი როლი ითამაშა ქვეყანაში ნაციონალიზმის მოსაშლელად, კერძოდ: დაიწყო ენის გაქრობა, მიუხედავად იმისა, რომ კონსტიტუციურად ქართული ენა რესპუბლიკის ენად ითვლებოდა, პრაქტიკაში რუსული თანდათან დომინანტი გახდა ადმინისტრაციაში, უმაღლეს განათლებასა და მეცნიერებაში. 1978 წელს საბჭოთა ხელისუფლების მცდელობამ, საქართველოს კონსტიტუციიდან ქართული ენის სახელმწიფო სტატუსი ამოეღო, მასობრივი პროტესტი გამოიწვია თბილისში, რაც ნათლად აჩვენებს, რამდენად რეალური იყო ენის დაკარგვის საფრთხე. ისტორიის გადაწერა და ინტერპრეტირება, როგორც მათ სურდათ, ამის ნათელი მაგალითია, 1921 წელს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ოკუპაცია ოფიციალურ საბჭოთა დისკურსში „საბჭოთა ხელისუფლების დამყარებად“ იყო მოხსენიებული. 1918-1921 წლების დამოუკიდებლობის პერიოდი ან იგნორირებული იყო, ან „ბურჟუაზიულ ავანტურად“ იყო შერაცხული, რაც მიზანმიმართულად ამახინჯებდა ეროვნულ ისტორიულ მეხსიერებას. გააქრეს მთლიანად ინტელიგენცია, 1937-1938 წლების დიდი ტერორის დროს რეპრესიების მსხვერპლი გახდნენ ქართველი მწერლები, პოეტები და მეცნიერები, რომლებიც ეროვნული თვითშეგნების მატარებლებად აღიქმებოდნენ: ტიციან ტაბიძე დახვრიტეს, პაოლო იაშვილი თვითმკვლელობამდე მიიყვანეს, მრავალი ისტორიკოსი, ფილოლოგი და საზოგადო მოღვაწე გაანადგურეს ან გადაასახლეს. თითქმის ყველა, ვინც ცდილობდა ეროვნული თვითშეგნების გაღვივებას. დაიწყეს ეროვნული ინსტიტუტების მოშლა. ეკლესიის დევნა, სასულიერო პირების რეპრესიები და კულტურული მემკვიდრეობის იგნორირება ასევე წარმოადგენდა ეროვნული იდენტობის შერყევის ინსტრუმენტს. დღევანდელ ჩვენს რეალობაშიც ოკუპირებული რეგიონები და ნაციონალიზმზე აპელირება გამოწვევად რჩება, რუსეთი ნაციონალიზმის საშუალებით ცდილობს ქვეყნის სეპარაციას და მისი მთლიანობის მოშლას, აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია ნათლად დავინახოთ ის თუ საიდან და როგორ გაჩნდა და ჩამოყალიბდა ნაციონალიზმი და რა ღირებულებებს ემყარებოდა იგი.

II. ნაციონალიზმის ფორმირება ერნესტ გელნერის თეორიის ჭრილში

როგორც უკვე აღვნიშნე, საქართველო მუდმივად განიცდიდა ზეწოლას და სწორედ ეს ზეწოლა გახდა ნაციონალიზმის საფუძველი, გელნერის მოსაზრების თანახმად ნაციონალიზმის პრინციპი ირღვევა, როცა უცხო კულტურულად განსხვავებული მმართველი ელიტა ბატონობს საზოგადოებაზე, რომელიც სხვა კულტურულ სივრცეს მიეკუთვნება. ,,ნაციონალიზმის პრინციპი ირღვევა მაშინ, როცა კულტურულად უცხო ელიტა მართავს მოსახლეობას, რომელიც განსხვავებულ

კულტურას მიეკუთვნება. ასეთ ვითარებაში დაქვემდებარებულებმა შესაძლოა რეაგირება მოახდინონ იმით, რომ ისწრაფონ შექმნან საკუთარი პოლიტიკური ერთეული, რომელიც ემთხვევა მათ კულტურულ საზღვრებს'' (გელნერი, 1984 გვ. 49). ასეთ შემთხვევაში, ამბობს გელნერი, ბუნებრივია, რომ დამორჩილებულ საზოგადოებაში დაიბადოს საპროტესტო მუხტი, რაც გადაიზრდება ეროვნულ მოძრაობაში მოთხოვნაში, რომ პოლიტიკური საზღვრები დაემთხვეს კულტურულ საზღვრებს, ისტორიაზე დაყრდნობით შეგვიძლია ვთქვათ, რომ გელნერის ამ თეორიის განმახორციელებელი გახდა სწორედ თერგდალეულების საზოგადოება. ამით ისინი ქმნიდნენ სწორედ იმ ინტელექტუალურ ფუნდამენტს, რომელზეც აღმოცენდა ეროვნული მოძრაობა იმ ფორმით, როგორსაც მას გელნერი აღწერს.

III. თერგდალეულები, როგორც მოდერნული ნაციონალიზმის შემქმნელები

თერგდალეულები არ იყვნენ მხოლოდ რეაქციონისტები, რომლებსაც რეაქცია ჰქონდათ მხოლოდ რუსიფიკაციისა და ერის კვდომის პროცესებზე. მათ დაიწყეს ფუნდამენტური ძვრები, რომლებსაც გელნერი მიიჩნევს, ნაციონალიზმის ფორმირებისთვის საჭირო ხელსაწყოებად. გელნერის მიხედვით ნაციონალიზმი თანამედროვე ინდუსტრიული საზოგადოების გარდაუვალი პროდუქტია. გამოყოფს რამდენიმე მნიშვნელოვან პრინციპს, მისთვის ფუნდამენტური ამ პროცესში ინდუსტრიული საზოგადოების ჩამოყალიბებაა, განათლების სტანდარტიზაციასა და კულტურის მიმართულებით ერთგვაროვანი მუშახელის არსებობასთან ერთად. გელნერისთვის კულტურული ერთგვაროვნება არ არის ბუნებრივი ან ტრადიციული, არამედ ხელოვნურად შექმნილი ინსტიტუტების გაერთიანებაა, რომელიც ეფუძნება განათლების სისტემას. მისი მიხედვით ნაციონალიზმს ავრცელებენ ისეთი სოციალური ჯგუფები, რომლებსაც აქვთ წვდომა თანამედროვე განათლებაზე და ინფორმაციაზე, მაგრამ პოლიტიკური თვალსაზრისით მარგინალიზებული არიან და ნაციონალური კულტურის კონსტრუირებასა და პოპულარიზაციას იყენებენ , როგორც ინსტრუმენტს საკუთარი სოციალური პოზიციების გაუმჯობესებისთვის.

თერგდალეულთა თაობა გელნერის თეორიის კონტექსტში იდეალური მაგალითია იმისა, თუ როგორ ვითარდება ნაციონალიზმი. ისინი წარმოადგენდნენ ახალ, განათლებულ ელიტას, რომელსაც რუსული განათლების სისტემაში მიღებული თანამედროვე ცოდნა ჰქონდა, მაგრამ ამავე დროს გრძნობდნენ კულტურულ და პოლიტიკურ ალიანსსაც, როგორც რუსული ოფიციალური კულტურისგან, ისე ტრადიციული ქართული საზოგადოებისგან ,, ჩვენ, ქართველები, დღეს შუაში დავრჩით: ძველი ცხოვრება უკვე ხელიდან გამოგვეცალა, ახალი კი ჯერ ჩვენი არ არის; სხვისი განათლება გვაქვს, სხვისი წესები გვასწავლეს, მაგრამ სული მაინც ჩვენი გვრჩება და სწორედ ეს ქმნის ჩვენს ტკივილს.“ (ი.ჭავჭავაძე, 1861)

IV. განათლების და კულტურის ჰომოგენიზაცია

ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, სერგეი მესხი, ნიკო ნიკოლაძე და სხვები ზუსტად ის ინტელექტუალური ელიტა იყვნენ, რომელზეც გელნერი საუბრობს. მათ ჰქონდათ პირდაპირი წვდომა რუსული იმპერიის განათლების რესურსებზე, მაგრამ ეროვნული და კლასობრივი მიკუთვნებულობის გამო გრძნობდნენ სისტემურ დისკრიმინაციას. ამან განაპირობა მათი მცდელობა ალტერნატიული, ქართული ნაციონალური კულტურის კონსტრუირებისა. სწორედ აქედან ჩაუყარეს საფუძველი და დაიწყეს ის ძირეული გარდაქმნები, რომლებზეც გელნერი საუბრობს, მათ შორის ერთ-ერთი პირველია განათლება. თერგდალეულებმაც დიდი ყურადღება მიაქციეს განათლების პრობლემებს. მათი მცდელობები ქართული სკოლების დაარსებისა, ქართული ენით სწავლების ორგანიზებისა და საერთოდ ქართული განათლების სისტემის განვითარებისა მიჰყვება იმ თანმიმდევრობას, რომელზეც გელნერი საუბრობს. აკაკი წერეთლის პედაგოგიური საქმიანობა, ნიკო ნიკოლაძის განმანათლებლური ინიციატივები და ზოგადად თერგდალეულთა მიერ განათლების მნიშვნელობის მუდმივი ხაზგასმა ნათლად ადასტურებს ერნესტ გელნერის თეზას, რომლის მიხედვითაც ნაციონალიზმი, პირველ რიგში, იკიდებს ფეხს განათლების სფეროში. გელნერისთვის განათლება არის ის მექანიზმი, რომლის მეშვეობითაც იქმნება ერთგვაროვანი „მაღალი კულტურა“, აუცილებელი თანამედროვე ერის ჩამოსაყალიბებლად და სწორედ ამ ფუნქციას ასრულებდნენ თერგდალეულები XIX საუკუნის საქართველოში.

V. ენა, პრესა და ეროვნული ცნობიერების კონსტრუირება

აკაკი წერეთელი არა მხოლოდ პოეტი, არამედ პრაქტიკოსი პედაგოგიც იყო: ის აქტიურად მონაწილეობდა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების საქმიანობაში, კითხულობდა საჯარო ლექციებს, წერდა საბავშვო და საგანმანათლებლო ტექსტებს და განსაკუთრებით ამახვილებდა ყურადღებას მშობლიურ ენაზე სწავლების აუცილებლობაზე. მისი პუბლიცისტიკა მკაფიოდ აყალიბებს აზრს, რომ ერის გადარჩენა იწყება სკოლიდან და მასწავლებლისგან.

ნიკო ნიკოლაძე კი განათლებას განიხილავდა არა მხოლოდ კულტურულ, არამედ სოციალურ და ეკონომიკურ რესურსად. მისი რედაქტორობით გამოცემული გაზეთები („დროება“, მოგვიანებით „მოგზაური“) სისტემურად ავრცელებდა ევროპული მეცნიერების ტენდენციებს, ტექნიკურ და პოლიტიკურ ცოდნას ქართულ საზოგადოებაში. ფოთის ქალაქის თავი, ნიკო ნიკოლაძე პრაქტიკულად ცდილობდა განათლებული მოქალაქის ტიპის ჩამოყალიბებას პროფესიული

ცოდნის, ტექნიკური განათლებისა და პრაქტიკული უნარების ხელშეწყობით, რაც გელნერის ინდუსტრიული საზოგადოების მოთხოვნებს ზუსტად ეხმიანება.

ზოგადად, თერგდალეულთა თაობა განათლებას აღიქვამდა როგორც ეროვნული თვითშეგნების მთავარ იარაღს. მათი საქმიანობა - სკოლების მხარდაჭერა, ქართულენოვანი სახელმძღვანელოების შექმნა, პერიოდიკის განვითარება და უნივერსალური განათლების იდეის პროპაგანდა ემსახურებოდა ერთიანი კულტურული სივრცის ჩამოყალიბებას. ამგვარად, თერგდალეულები არა მხოლოდ გელნერის თეორიის ილუსტრაცია არიან, არამედ მისი ისტორიული წინმსწრებიც: მათ პრაქტიკულად განახორციელეს ის, რასაც გელნერი მოგვიანებით თეორიულად აღწერს ნაციონალიზმისა და განათლების ორგანული კავშირით.

მათ ჰომოგენიზაცია განათლების სისტემის მეშვეობით დაიწყეს ქართული "მაღალი კულტურის" კონსტრუირება, რომელიც უნდა ყოფილიყო ყველა ქართველისთვის საერთო. ეს პროცესი განსაკუთრებით თვალსაჩინოა ილია ჭავჭავაძის საქმიანობაში. მისმა ლიტერატურულმა და ჟურნალისტურმა მოღვაწეობამ ხელი შეუწყო სტანდარტული ქართული ლიტერატურული ენის ჩამოყალიბებას, რაც ამტკიცებს ბენედიქტ ანდერსონის თეორიას ბეჭდური კაპიტალიზმის და წარმოსახვითი ერთიანობის შესახებ. ბენედიქტ ანდერსონის თავის ნაშრომში ,,წარმოსახვითი საზოგადოებები'' ამტკიცებს, რომ ნაციონალიზმი და ერების წარმოშობა დაკავშირებულია ბეჭდური მედიის გავრცელებასთან: ,,ბეჭდური კაპიტალიზმი შექმნა საერთო საინფორმაციო სივრცე, რომლის მეშვეობითაც სხვადასხვა სოციალური ჯგუფი ერთიან კულტურულ და ენობრივ ქსელში გაერთიანდა'' (ანდერსონი, 1984) ანუ, ბეჭდვითი პროდუქციის (გაზეთების, ჟურნალების, წიგნების) გავრცელებამ ენას მისცა სტაბილური ფორმა, რომელიც ხალხისთვის ხელმისაწვდომი გახადა და შექმნა საერთო პოლიტიკური და ისტორიული ცნობიერება, რომელიც ნელ-ნელა ჩამოყალიბდა როგორც „ეროვნული ერთიანობა“, თუნდაც მოსახლეობა პირადად არ იცნობდეს ერთმანეთს. ილიას საქმიან სწორედ ამ ხედვის შესანიშნავი მაგალითია. მისი ძირითადი საქმიანობა მოიცავდა. ,,სხივი'', ,,საქართველო'', ,,ივერია''. ილია თავისი პუბლიკაციებით ქმნიდა ერთიან საინფორმაციო სივრცეს, სადაც საზოგადოების სხვადასხვა ფენა ეცნობოდა ერთსა და იმავე აზრს, შეფასებასა და პრობლემას. ამით წარმოიქმნებოდა ეროვნული ხედვის საერთო ჩარჩო ქართული ენის, მართლმადიდებლური რწმენისა და დამოუკიდებლობის იდეალის გარშემო. ილია მკაფიოდ იღვწოდა ქართული ენის გაწმენდისა და მოდერნიზაციისთვის, რასაც უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ენის, როგორც ეროვნული სიმბოლოს დაფუძნებისთვის. ილია ჭავჭავაძე მკაფიოდ ეწინააღმდეგებოდა როგორც რუსული, ისე ხელოვნურად შემოსული უცხოენოვანი ლექსიკის უკონტროლო გამოყენებას და ამტკიცებდა, რომ ქართული ენა უნდა გამხდარიყო განათლების,

ადმინისტრაციისა და მეცნიერების სრულფასოვანი ენა. სტატიაში „ჩვენი ენის საქმე“ (1887) იგი პირდაპირ წერს, რომ ენის დაცვა არ ნიშნავს მის გაქვავებას, არამედ მის განვითარებას თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობაში. სწორედ ამიტომ ილია მოითხოვდა ტერმინების შექმნას ქართული ფუძეებიდან და ენის გამოყენებას ახალ ჟანრებსა და დარგებში.გარდა ამისა, ილია აქტიურად აკრიტიკებდა ე.წ. „მკვდარ ენას“ ეკლესიურ-არქაულ სტილს, რომელიც ფართო საზოგადოებისთვის გაუგებარი იყო, და ამტკიცებდა, რომ ცოცხალი, ხალხთან ახლოს მდგომი ენა იყო ერთადერთი გზა ეროვნული თვითშეგნების გასაძლიერებლად. ამით ენა იქცა არა მხოლოდ კომუნიკაციის საშუალებად, არამედ ეროვნული ერთიანობის სიმბოლოდ. ანდერსონის თეორიაში ენის სტანდარტიზაცია პირდაპირ უკავშირდება ერთიანი ეროვნული ცნობიერების ფორმირებას. ილია ქმნიდა კოლექტიურ ისტორიულ მეხსიერებას: წერილებში, პოეზიასა და პუბლიცისტიკაში, ის ეროვნული იდენტობის იდეებს უსვამდა ხაზს: „სამი ღვთაებრივი საუნჯე აქვს ერს: ენა, მამული და სარწმუნოება; თუ ამათგან ერთს მაინც დაკარგავს, ერი წარწყმედილია.“ (ი.ჭავჭავაძე,1882)

ბენედიქტ ანდერსონის თეორიის მიხედვით, ერები წარმოსახვითი ერთეულებია, რომლებიც შეიქმნა ბეჭდური მედიისა და ენის სტანდარტიზაციის მეშვეობით. ილია ჭავჭავაძის მოღვაწეობა საქართველოში იყო სწორედ ასეთი ეროვნული პროექტი იგი ქმნიდა საინფორმაციო, კულტურულ და ენობრივ ერთიანობას, რომელიც წინ ვერ უსწრებდა სახელმწიფოს, მაგრამ ამზადებდა მის საფუძველს.

VI. რელიგია და სეკულარიზაცია ეროვნულ პროექტში

ამ ყოველივესთან ერთად მნიშვნელოვანია, არ დავივიწყოთ რელიგიისა და სეკულარიზაციის ამბავი, რომელიც თერგდალეულების შემთხვევაში რთულად იდგა, ისინი ერთი მხრივ მხარს უჭერდნენ მართლმადიდებლურ ქართულ ავტოკეფალიას და ქართული ენით ღვთისმსახურებას, მეორე მხრივ კი, ავრცელებდნენ სეკულარულ, რაციონალისტურ იდეებს. ეს ამბივალენტობა კარგად ასახავს გელნერის აზრს იმის შესახებ, რომ ნაციონალიზმი ხშირად იყენებს რელიგიურ სიმბოლოებს და რიტუალებს, მაგრამ ამავე დროს ნელ-ნელა ანაცვლებს მათ სეკულარული, "სამოქალაქო რელიგიით". თერგდალეულებმა სწორედ ეს გააკეთეს გამოიყენეს ქართული ქრისტიანული ტრადიცია ნაციონალური იდენტობის განსამტკიცებლად, მაგრამ ამავე დროს, ჩაუყარეს საფუძველი სეკულარულ ქართულ კულტურას.

VII. ეკონომიკური მოდერნიზაცია და ეროვნული პროექტი

გარდა ამისა არ უნდა დაგვავიწყდეს ინდუსტრიალიზაცია, რაც საქართველოში მნიშვნელოვანი პროცესი იყო და გელნერის ნაციის ფორმირებაშიც დიდ ადგილს იკავებს. XIX საუკუნის

საქართველოში, მიუხედავად იმისა, რომ მასშტაბური ინდუსტრიალიზაცია ჯერ არ დაწყებულა, უკვე ჩანდა ამ პროცესების ნიშნები. რუსული იმპერიის ინტეგრაციამ საქართველოში შემოიტანა ახალი ეკონომიკური ურთიერთობები, რაც მოითხოვდა ახალ ტიპის სოციალურ ორგანიზაციას. თერგდალეულები სწორედ ამ ტრანსფორმაციის ,,აგენტები'' იყვნენ. ნიკო ნიკოლაძე იყო ეკონომიკური პროგრესის არქიტექტორი, რომელიც პირდაპირ ჩაება ეკონომიკური სისტემების რეფორმირებაში და ინდუსტრიული პოლიტიკის წარმართვაში. ნიკო ნიკოლაძემ, როგორც ბათუმის მერმა, შეიმუშავა გეგმა, რომელიც ითვალისწინებდა პორტის, რკინიგზისა და ნავთობის ექსპორტის მოდერნიზაციას. ბათუმი გადაიქცა შავი ზღვის მნიშვნელოვან სავაჭრო ცენტრად, რაც ქვეყნის ეკონომიკურ დამოუკიდებლობას ემსახურებოდა. ბათუმსა და ფოთში მან ააგო ევროპული ტიპის ინფრასტრუქტურა (ქუჩები, წყლის სისტემა, განათება), რაც ქალაქებს ეკონომიკური ცენტრის ფუნქციას ანიჭებდა. ნიკოლაძე როგორც ,,დროებაში'', ასევე, ,,ივერიაში'' წერდა, რომ ქვეყანას საჭიროებდა ეკონომიკურ დამოუკიდებლობასა და დასავლურ მოდელებს „ქვეყანა, რომელიც სხვის ეკონომიკურ ნებაზეა დამოკიდებული, ვერასოდეს იქნება თავისუფალი; პოლიტიკური თავისუფლება უეკონომიკოდ ცარიელი სიტყვაა. ჩვენ უნდა ვისწავლოთ ევროპული შრომა, ევროპული წარმოება და ევროპული თვითმმართველობა, თორემ საუკუნოდ დავრჩებით სხვის მიბაძვაში.“ (ნ. ნიკოლაძე, „დროება“, 1868) ამას გარდა ნიკოლაძისა და მისი თანამოაზრეების იდეები მიმართული იყო კაპიტალისტური განვითარების, კერძო საკუთრების, ინდივიდუალური თავისუფლების შესახებ და უკავშირდებოდა ახალი ტიპის ნაციონალური იდენტობის შექმნას. ისინი ცდილობდნენ ქართული საზოგადოება ჩაერთოთ თანამედროვე ევროპული განვითარების დინამიკაში, მაგრამ ამავე დროს შეენარჩუნებინათ ნაციონალური სპეციფიკურობა,ნიკო ნიკოლაძე აღნიშნავდა „ჩვენი უბედურების მიზეზი არა ხალხის უუნარობა, არამედ ჩამორჩენილი ეკონომიკური წესებია. ევროპა ჩვენთვის მისაბაძი არ არის სიტყვით, არამედ საქმით, შრომის ორგანიზებით, ქალაქის მართვითა და მოქალაქის პასუხისმგებლობით.“ (ნ. ნიკოლაძე, 1884)

VIII. თერგდალეულების საქმიანობის ძირითადი მიმართულებები

ამ ისტორიული პროცესების საფუძველზე, თერგდალეულთა თაობის ანალიზი გელნერის ნაციონალიზმის თეორიული ჩარჩოს ფარგლებში ნათლად აჩვენებს, თუ როგორ ყალიბდებიან ნაციონალისტური მოძრაობები დამოუკიდებლობას მოკლებულ სახელმწიფოებში. ისინი წარმოადგენენ განათლებული ელიტის კლასიკურ მაგალითს, რომელიც გელნერის თეორიაშია აღწერილი ესენი არიან: ადამიანები, რომლებსაც აქვთ წვდომა თანამედროვე განათლებასა და ინფორმაციაზე, თუმცა ვერ აღწევენ იმ სოციალურ და პოლიტიკურ პოზიციებს, რომლებიც

საკუთარი კვალიფიკაციის შესაბამისად მიაჩნიათ. როგორც გელნერი აღნიშნავს: „როდესაც განათლების გავრცელება სწრაფად აღემატება სოციალურ მობილობას, მაშინ ჩნდება დაძაბულობა განათლებული მაგრამ მარგინალიზებული ჯგუფები იწყებენ პროტესტს და ითხოვენ სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობას“ (გელნერი , 1983, გვ. 35).

თერგდალეულების საქმიანობა კარგად ასახავს გელნერის იდეას იმის შესახებ, რომ ნაციონალიზმი არ არის ძველი, ბუნებრივი ფენომენი, არამედ თანამედროვე საზოგადოების კონსტრუქცია. მათ შექმნეს ქართული "მაღალი კულტურა", გაავრცელეს ერთგვარი ლიტერატურული ენა, ჩაუყარეს საფუძველი თანამედროვე ქართული განათლების სისტემის. ამავე დროს, თერგდალეულების მაგალითი აჩვენებს გელნერის თეორიის რამდენიმე შეზღუდვასაც. კერძოდ, მათი ნაციონალიზმი არ იყო მხოლოდ "ზედმეტი განათლების" შედეგი, არამედ უფრო რთული სოციალური, კულტურული და პოლიტიკური ფაქტორების კომბინაცია.

დასკვნა

წინამდებარე კვლევა წარმოადგენს თერგდალეულების მოძრაობის ინოვაციურ ანალიზს ერნესტ გელნერისა და ბენედიქტ ანდერსონის თანამედროვე ნაციონალიზმის თეორიების ჭრილში. კვლევის ძირითადი სიახლე მდგომარეობს იმაში, რომ პირველად ქართულ აკადემიურ სივრცეში თერგდალეულების საქმიანობა განხილულია არა როგორც იზოლირებული კულტურული ფენომენი, არამედ როგორც მოდერნული ნაციონალიზმის უნივერსალური კანონზომიერებების კონკრეტული გამოვლინება საქართველოს კონტექსტში. მეთოდოლოგიური მიდგომა აერთიანებს ანალიზს და ისტორიული ემპირიის კრიტიკულ შესწავლას. კვლევაში გამოყენებულია გელნერის სტრუქტურულ-ფუნქციონალისტური მიდგომა, რომელიც ხსნის ნაციონალიზმის წარმოშობას ინდუსტრიული საზოგადოების ფორმირებასთან კავშირში, ხოლო ანდერსონის კონცეფცია ასახავს კულტურული და სიმბოლური სივრცის როლს ეროვნული იდენტობის კონსტრუირებაში.

განსაკუთრებული სიახლეა ის, რომ კვლევა არა მხოლოდ აღწერს თერგდალეულების საქმიანობას, არამედ ავლენს მის ღრმა სტრუქტურულ ლოგიკას: როგორ ქმნიდნენ განათლებული, მაგრამ მარგინალიზებული ელიტა ალტერნატიულ კულტურულ და პოლიტიკურ პროექტს რუსული იმპერიის დომინანტური კულტურის საპასუხოდ. ეს მიდგომა საშუალებას იძლევა, თერგდალეულების ფენომენი განვიხილოთ როგორც ადგილობრივი სპეციფიკის და საერთაშორი ტენდენციების სინთეზი. კვლევა ასაბუთებს, რომ თერგდალეულების მოძრაობა იყო არა სპონტანური რეაქცია რუსიფიკაციაზე, არამედ სისტემატური, მრავალმხრივი პროექტი ქართული მოდერნული ნაციონალიზმის ჩამოსაყალიბებლად.

წარმოდგენილი კვლევა სცილდება სუფთა აკადემიურ ინტერესს და ფლობს მნიშვნელოვან პრაქტიკულ ღირებულებას თანამედროვე საქართველოსთვის. პირველ რიგში, ის ავლენს, თუ როგორ იქმნება და ყალიბდება ეროვნული იდენტობა არა როგორც ბუნებრივი, თვითგანვითარებადი პროცესი, არამედ როგორც ცნობიერი, ორგანიზებული და მიზანმიმართული კულტურული კონსტრუქცია. თერგდალეულების გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ეროვნული იდენტობის შენარჩუნება მოითხოვს მუდმივ მუშაობას სამ ძირითად მიმართულებაზე: ენის განვითარება და დაცვა, განათლების სისტემის მხარდაჭერა და კულტურული თვითგანსაზღვრა. ეს პრინციპები განსაკუთრებით აქტუალურია დღეს, როდესაც საქართველო კვლავ განიცდის გეოპოლიტიკურ ზეწოლას და თავისი ტერიტორიული მთლიანობის დარღვევას.

კვლევა აჩვენებს, რომ ნაციონალური იდენტობა არ არის სტატიკური კატეგორია ის საჭიროებს მუდმივ განახლებას და ადაპტაციას. თერგდალეულებმა თავიანთ დროში შექმნეს სინთეზი ევროპული მოდერნიზაციისა და ქართული ტრადიციული ღირებულებების შორის. ამავდროულად, თანამედროვე საქართველო დგას იმავე გამოწვევის წინაშე, თუ როგორ შეინარჩუნოს თავისი თავისუფლება, კულტურული თვითმყოფადობა და ევროატლანტიკური ინტეგრაციის კურსი. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კვლევაში წარმოჩენილი ურთიერთკავშირი განათლების, ეკონომიკური განვითარებისა და ნაციონალური იდენტობის შორის. თერგდალეულებმა გააცნობიერეს, რომ ეროვნული დამოუკიდებლობა შეუძლებელია ეკონომიკური დამოუკიდებლობის გარეშე. ნიკო ნიკოლაძის ფრაზა "პოლიტიკური თავისუფლება უეკონომიკოდ ცარიელი სიტყვაა" დღესაც აქტუალურია და წარმოადგენს სტრატეგიულ მითითებას თანამედროვე პოლიტიკური ელიტისთვის.

ამდენად, წარმოდგენილი კვლევა შესაძლებელს ხდის არა მხოლოდ ისტორიული პროცესების უკეთ გააზრებას, არამედ თანამედროვე გამოწვევების კონტექსტუალიზაციასაც. თერგდალეულების მიერ დაწყებული პროექტი ქართული მოდერნული ნაციის შექმნა გრძელდება დღესაც. მათი გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ეროვნული იდენტობის შენარჩუნება და განვითარება მოითხოვს არა მხოლოდ წარსულის დაცვას, არამედ მომავლისკენ მიმართულ ინოვაციურ აზროვნებას, რომელიც აერთიანებს ტრადიციულ ღირებულებებსა და თანამედროვე გამოწვევებს. საბოლოო ჯამში, კვლევას მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს როგორც ქართული ნაციონალიზმის ისტორიოგრაფიაში, ისე თანამედროვე ნაციონალიზმის თეორიულ დისკუსიაში. ის ავლენს, რომ დამოუკიდებლობას მოკლებული ქვეყნების გამოცდილება, როგორიცაა საქართველო, არ არის მხოლოდ ცენტრალური თეორიების დამადასტურებელი მაგალითი, არამედ შეიძლება მნიშვნელოვანი შტრიხები დაამატოს უნივერსალურ თეორიულ ჩარჩოებს. თერგდალეულების ისტორია გვიჩვენებს, რომ მცირე ერებსაც

შეუძლიათ შექმნან მყარი ნაციონალური იდენტობა და შეინარჩუნონ თავიანთი კულტურული თავისუფლება, თუ ფლობენ ინტელექტუალურ რესურსებს, ორგანიზაციულ შესაძლებლობებს და, რაც მთავარია, გაცნობიერებულ სტრატეგიას ეროვნული თვითშეგნების ფორმირებისა.

გამოყენებული ლიტერატურა:

ანდერსონი, ბ. (2016). წარმოსახვითი საზოგადოებანი: ნაციონალიზმის წარმოშობა და გავრცელება (თ. ჭანტურია, თარგმნ.). თბილისი: ლიბერალი.

ბადრიძე, ა. (2010). ნიკო ნიკოლაძე - რეფორმატორი და სტრატეგი. თბილისი: უნივერსალური.

გელნერი, ე. (2022). ნაციები და ნაციონალიზმი (თ. ჯობავა, თარგმ.). თბილისი: ინტელექტი.

გელნერი, ე. (1983). Nations and nationalism. Oxford: Blackwell.

სურგულაძე, მ. (1988). თერგდალეულები და მათი ეპოქა. თბილისი: მეცნიერება.

ჭავჭავაძე, ი. (1882). ენა, მამული, სარწმუნოება. ივერია.

ჭავჭავაძე, ი. (1861). მგზავრის წერილები. ცისკარი.

ჭავჭავაძე, ი. (1887). ჩვენი ენის საქმე. ივერია.

ჭავჭავაძე, ი. (2006). მოგონებანი, წერილები, პუბლიცისტიკა. თბილისი: საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია.

ნიკოლაძე, ნ. (1868). პუბლიცისტიკური წერილები. დროება.

ნიკოლაძე, ნ. (1884). საზოგადოებრივი და ეკონომიკური წერილები. ივერია.

წერეთელი, ა. (1955). რჩეული წერილები და პუბლიცისტიკა. თბილისი: სახელმწიფო გამომცემლობა.